1949/3-86/22 2 04032022

1949/3-86/22
04-03-2022

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საინფორმაციო - ანალიტიკურ დეპარტამენტს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია, 2022 წლის 24 თებერვლიდან დღემდე, რუსეთის პასპორტით საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის სტატისტიკა, რამდენი პროცენტით გაიზარდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
სალომე სამადაშვილი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 0 22 00808555

29/03/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ სალომე სამადაშვილს

ქალბატონო სალომე,

2022 წლის №1949/3-86/22 წერილის პასუხად, დანართის სახით გიგზავნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ მონაცემებს, 2021-2022 წლების 24 თებერვლიდან 6 მარტის ჩათვლით პერიოდში, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა საზღვრის კვეთის (შემოსვლა, კვეთების და უნიკალური პირების რაოდენობა) შესახებ, შედარებითი მაჩვენებლის მითითებით.

შენიშვნა: საშუალო სტატისტიკური ცდომილების ზღვარი +/- 2,4%.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

შ.ს.ს.
მინისტრის მოადგილე
ალექსანდრე დარახველიძე

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა საზღვრის კვეთის მონაცემები			
პერიოდი	მოქალაქეობა	კვეთა შემოსვლა	უნიკალური შემოსვლა
24.02.2022-06.03.2022	რუსეთის ფედერაცია	16,097	15,335
24.02.2021-06.03.2021	რუსეთის ფედერაცია	2129	1899
შედარებითი მაჩვენებელი		656%	708%